



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავკასიური ქაშაპი

კავკასიური ქაშაპი (*Leuciscus cephalus orientalis*, Nordmann, 1840 – *squalius cephalus*, Linnaeus, 1758), თევზი კობრისებრთა ოჯახიდან (*Squalius Bonaparte*, 1837).

ვარიდან (*Squalius Bonaparte*, 1837). კ. ქ., როგორც დამოუკიდებელი სახეობა - *Leuciscus orientalis* ს (აფხაზეთის მდინარეებიდან) პირველად აღწერა ა. ნორდმანმა (1840), შემდეგ ფ. დე ფილიპიმ (1865) - *Squalius turcicus* (მდ. არაქსიდან). საქართველოში გავრცელებული კ. ქ. როგორც *Squalius turcicus Filipi*, სხვა ავტორებსაც ჰყავთ აღწერილი, ლ. ბერგი კავკასიაში მოგზაურობის (1909-10) დროს დარწმუნდა, რომ ნორდმანისა და ფილიპის მიერ ერთი და იგივე სახეობა იქნა აღწერილი და მას ქვესახეობის სტატუსი - *Leuciscus cephalus orientalis Nordmann* - მიაკუთვნა.

კ. ქ-ის სიგრძე 50 სმ-მდეა, მასა - 1,5 კგ-მდე. სქესობრივად მწიფდება 2-3 წლის ასაკიდან. მრავლდება მაისიდან აგვისტომდე. ნაყოფიერება აღწევს 15000-150000 ქვირითს. მტკნარი წყლის თევზია, ბინადრობს ქვაქვიშიან ადგილებში. იკვებება როგორც ცხოველური, ასევე მცენარეული საკვებით. საქართველოში გავრცელებულია მდინარეებში: მტკვარი, ხრამი, არაგვი, ალაზანი, იორი, ჭოროხი, კინტრიში, სუფსა, ნატანები, რიონი, ხობი, ენგური, კოდორი, ბზიფი; ტბებში: ჯანდარი, ფარავანი, საღამო, ბაბალეთი, პალიასტომი, ბებესირი; წყალსაცავებში: ხრამის, თბილისისა და სიონის; გავრცელებულია ევრაზიაში, ჩრდილოეთის, ბალტიის, შავი, თეთრი, ბარენცისა და კასპიის ზღვის აუზებში. მცირე სამეურნ. მნიშვნელობა აქვს. ბუნების კონსერვაციის საერთაშ. კავშირის (IUCN) მიხედვით საჭიროებს ზრუნვას (LC).

ლიტ.: ნინუა ნ., ჯაფთაშვილი ბ., ბოჭორიშვილი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013; Э л а н и д з е Р., Икхиофауна рек и озер Грузии, Тб., 1983.

ნ. ნინუა
